პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, უერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
14
აგვისტო
№ 190
(16316)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

მათ ხუთწლედი შეასრულეს

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ

ᲔᲪᲜᲡᲠᲔ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ უკველა ზღუდის ახალებად იერიში გრძელდება. და რაც უფრო ვუახლოვდებით ფინიშს, ეს იერიში მძლავრი და შეუპოვარი ხდება. საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების, დიდი შემართების სულისჩამდგმელნი და მეთაურნი კი პირველადი პარტორგანიზაციები არიან, რომლებიც, როგორც მშრომელთა კოლექტივების პოლიტიკური უჯრედები, უშუალოდ ცხოვრების შუაგულში მოქმედებენ და იღვწიან. ამიტომ, ბუნებრივია, დიდი მოვალეობა ეკისრება ადამიანს, რომელსაც კომუნისტები თავიანთ წინამძღოლად ირჩევენ.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის სათავეში ყოფნა — ეს მართლაც დიდი და საპატიო ნდობაა. იმ ღირსსახსოვარი დღიდან, რაც ამხანაგებმა ნდობა გამოგიცხადეს და მდივნად აგირჩიეს, შენზე უშუალოდ ბევრად არის დამოკიდებული როგორც თვით პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის დონე, ისე შრომითი კოლექტივის წარმატებაც.

ეს უკვე შეთერთმეტე წელია ზედიზედ ირჩევენ კომუნისტები ტუიბულის ქვანახშირის გამმდიდრებელი ფაბრიკის პარტბიუროს მდივნად ალექსანდრე ქასრაშვილს. რატომ? იმიტომ, რომ პარტიულ-ორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები“.

პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების თვისობრივი შემადგენლობა, მათი პრაქტიკული მოღვაწეობის გულმოდგინე ანალიზი თვალნათლივ მოწმობს, თუ როგორ იღვნებიან პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობიდან სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შედეგები, როგორ იცლება ცოცხალი საქმით სახსდომო ფუსფუსი, ფორმალიზმი, მოჩვენებითობა და ჭიალდმთხზველობა, როგორ ჩამოდიან ავანსცენიდან მლიქვნელები და კარიერისტები, ე. წ. „მორჩილი მდივნები“, როგორ იკაფავს და იკვლევს გზას ქალაქად თუ სოფლად სალი, გულწრფელი, საქმიანი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტორგანიზაციათა მდივნების შემადგენლობის გაუმჯობესებამ შინაგელოვანწყლად განსაზღვრა ის, რომ როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჩქეფს მუშაობა, ორგანიზაციულ-პარტიული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა უფრო შინაარსიანი, საინტერესო და მიზანმიმართული გახდა. კომუნისტები ახლა დიდი უყურადღებით განიხილავენ ცხოვრების მომწიფებული პრობლემებს, განამტკიცებენ პარტიულ, სახელმწიფო და შრომითს დისციპლინას, ეფექტურად ებრძვიან უყაირათობასა და უპასუხისმგებლობას.

მთელი რიგი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები, რომლებიც თვალისწინებენ, რომ მარტო კარგი პარტორგანიზაციის მდივნის არჩევით როდი უნდა დაიმშვიდონ გული, ეძებენ და პოულობენ კიდეც მდივნებთან ურთიერთობის, მათი აღზრდისა და სწავლების საუკეთესო ფორმებს. პარტორგანიზაციათა მდივნების სკოლებთან, თათბირებთან, სემინარებთან და ადგილებზე ცოცხალ ინსტრუქტაჟთან ერთად ახლონ მდივნების მონაწილეობით აწყობენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს პარტიული მშენებლობის აქტუალურ საკითხებზე.

რა თქმა უნდა, როცა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის უნარზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით მისი ის უნარი, რომ გონივრულად გამოიყენოს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, ყველფერი პარტიულ მან, ერთმა კაცმა თავისი ხელით კი არ გააკეთოს, არამედ პარტიულ მუშაობაში რაც შეიძლება მეტი აქტივისტი ჩააბას. ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში ირჩევენ პარტიულ ბიუროს ან კომიტეტს. მათი წევრები მდივანთან ერთად დიდ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდნენ, ხიუვრულით, მგზნებარებითა და ხაქმის ცოდნით უნდა ახორციელებენ დაკისრებულ მოვალეობას.

შარშან ახალციხის ნამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოში 14 რაციონალიზატორული წინადადება უნდა დაენერგათ. ამ ღონისძიების განხორციელება უშუალოდ ევალებოდა მთავარ ინჟინერ ხ. ხალგოროციანს, რომელიც აგრეთვე პარტბიუროს მდივანიც არის. მაგრამ წელიწადზე მეტი ისე გავიდა, ერთ რაციონალიზატორულ წინადადებასაც არ ეღირსა ცხოვრების საგზური. გასაგებია, როცა პარტბიუროს მდივანი ასე გულწრფილად და აგდებულად მოეკიდა დიდმნიშვნელოვან საქმეს, რა მოთხოვნელობა უნდა გამოეჩინა მას სხვებისადმი?!

დასაშალავი როდია, რომ შარშან ზოგან მაინც მოუვიდათ სერიოზული შეცდომები და აჭა-იქ პარტორგანიზაციათა ხელმძღვანელობაში ულირსებიც გაძვრნენ. ამას წინათ პარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პლენუმზე მკაცრი და პრინციპული შეფასება მისცა იმ ფაქტებს, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრებების შემდეგ ქრთამის აღებისათვის სკკპ რიგებიდან გარიცხეს ხ. პასუხისგებაში მისცეს თავგარეშილნენ საბინაო-საყოფაცხოვრებო განყოფილების პარტორგანიზაციის მდივანი გ. ფიცხელაური, მექრთამეობაში შუამავლობისათვის — ხაფოთაქო ქსელის პარტბიუროს მდივანი ი. თამბაგარი, დიდძალი ხასელმწიფო ქონების დაკაცებისათვის — ქალაქის მეოთხე საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანი ვ. ამირანაშვილი.

ეს და სხვა მსგავსი შემთხვევები მკაცრი გაკვეთილი უნდა იყოს კომუნისტთა ყოველი კოლექტივისათვის!

ხაანგარიშო პერიოდის გახვლასთან დაკავშირებით, ჯერ პირველადს პარტორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნები დაიწყება. მთავარზე მთავარია, რომ კიდევ უფრო პრინციპულად, გულმოდგინედ და სიფრთხილით მივუდგეთ ყველგან კომუნისტთა წინამძღოლების არჩევას.

დიახ, პირველადი პარტორგანიზაციის მდივანს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენი პარტიის აქტივისტთა დიდ რაზმში. ამიტომაც პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ვალია ყოველნაირად აამაღლონ მათი ავტორიტეტი და ავანგარდული როლი, განუწყვეტლად იზრუნონ მდივნების შემადგენლობის გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის, თვითეული მათგანის საქმიანი მოგზაურობისა და იდეური წრთობისათვის, ორგანიზატორული მუშაობის ხელოვნების დაუფლებისათვის.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲚᲠᲐᲚ

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის გაშლილ ლაშქრობაში რომ ჩაება, ცხრამეშვიანატის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლეულს დამატებადი 2 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

— წლიური ნაკისრი ვალდებულება შესრულებულია შვიდ თვეზე და 12 დღეში, — აცნობა რედაქციის საწარმოს დირექტორმა შ. ქუტიძემ, — გამოშვებულია 2 მილიონ 10 ათასი მანეთის ნაწარმი, რითაც გავაჯანდეთ ავარეთვე წლევანდელი წლის რვა თვის ხასელმწიფო გეგმაც. მეორე კვარტალის შედეგებით გავიმარჯვეთ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

კომბინატის კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის შესახვედრად გაშლილი შეჯიბრების ფანგარდშია და თბილისელ მეკოპეთა მაგალითისამებრ ყოველ სამუშაო ადგილზე ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის იბრძვის, გადაწყვიტა წლის ბოლომდე დამატებით კიდევ გამოუშვას 500 ათასი მანეთის პროდუქცია.

მომავლის ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ

ᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲐᲜ Გ. ᲥᲣᲠᲗᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲡ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

ᲞᲘᲐᲗᲣᲠᲐ. სტვირთო ავტომობილტრანსპორტო საწარმოს (დირექტორი ჯ. ხარაიშვილი) კოლექტივი ენერგიულად იღვწის მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. ტრანსპორტელებმა შვიდი თვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს, 2.075 ათასი ტონა ტვირთის ნაცვლად გადაზიდეს 2.165 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი და გეგმა 104 პროცენტით შეასრულეს. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 4 პროცენტით, მიღებულია 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

თბილისელ მეკოპეთა თათბირმა გამოუხმაურონენ და თავდადებული შრომით განსაკუთრებით ისახელეს თავი მძღოლებმა ს. ტაბატაძემ, გ. ლაბაძემ, ა. ქუთათელაძემ, რომლებმაც დროზე გაუსწრეს და ახლა მეათე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. ტრანსპორტელებს გადაწყვეტილი აქვთ ხუთწლედის გეგმა 1 ოქტომბერს შეასრულონ.

„კომუნისტის“ კორ.

ᲕᲐᲜᲔᲚ ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ

ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔ�გᲛᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ

ᲕᲐᲜᲘᲡ რაიონში თანდათან ფეხს იკიდებს ჩაის კულტურა. აქაური მეჩაიეები კარგად უვლიან ათობით ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციებს. ვანელმა მეჩაიეებმა უკვე შეასრულეს ჩაის კრეფის ხუთწლეული გეგმა. მოიკრიფა 1.646 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1.458 ტონისა.

გადაჭარბებით შესრულდა მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის გეგმაც. მოკრეფილია 390 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 400 ტონისა. ვანელ მეჩაიეებს დახმარების ხელი გაუწოდეს ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ეს „კომუნისტის“ რედაქციის ინფორმაციის პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კვანტალიანმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ჯ. დვალიშვილმა.

ᲠᲐᲘᲜ ფოთლად შეჭანიზებული კრეფა ფართოდ არის დანერგილი ინგირის ლენინის ორდენოსან ჩაის საბჭოთა მეურნეობაში (ზუგდიდის რაიონი). აქაურმა მექანიზატორებმა შორს გაიარეს ხალი. ამ დღეებში ინგირელმა მექანიზატორებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის ხუთწლიანი გეგმა. ხულ მოკრეფილია 13.262 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 12.300 ტონისა.

ინგირელთა წარმატებებში დიდი წელილი შეაქვს იმ მექანიზებულ რგოლს, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ალ. ბეგიაშვილი ხელმძღვანელობს.

მექანიზატორებმა ეს წარმატება მოუძღვნეს პარტიის მომავალ XIV ყრილობას.

ᲮᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ჩაის ხაკრეფი მანქანები ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში მუშაობის დროს.

Ო. ᲐᲛᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲝᲒᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘ�გᲘᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲓᲐ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 12 აგვისტო (საკდესის სპეც. კორ.). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი იყო ყეშუკის საოვეოდოს ქალაქ მელეცში, სადაც დათვალიერა საავიაციო ქარხანა, რომელიც სპეციალიზება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მსუბუქი თვითმფრინავების წარმოებაზე.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა საოვეოდოს ხელისუფალთა წარმომადგენლებს, ქარხნის ხელმძღვანელებს და წარმოების მოწინავეებს.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინი ყეშუკიდან მოსკოვს გამოემგზავრა.

12 აგვისტოს მოსკოვში დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოწვეულნი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე ა. ნ. კოსიგინს დახვდნენ ამხანაგები ი. ფ. კულაკოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დიმიციი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ე. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის მინისტრები ბ. ფ. ბრატჩენკო, ნ. ს. პატოლიჩევი, ვ. დ. შაშინი, სსრ კავშირის სავაჭრო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. ს. სმირტიუკოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ვლადისლავ ნაპეგნია. (საკდესი).

ᲓᲠᲝᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები შეიკრიბნენ მეგობრობის სახლში, რათა ზეიმით აღენიშნათ სსრ კავშირის და ინდოეთის რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი თარიღი — მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მეათხუთ წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ე. პელშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხოლოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ვ. გოლოვინი, ბ. ვ. პეტროვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. მ. პეგოვი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მათთან ერთად იყვნენ ინდოეთის პარლამენტართა დელეგაციის წევრები — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები პარლამენტის ზედა პალატის ვიცეთავმჯდომარის ჯ. მურაპარის მეთაურობით, ინდოეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში პ. ლ. სიბელი წლის ვეგეგმა. მოკრეფილია 390 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 400 ტონისა. ვანელ მეჩაიეებს დახმარების ხელი გაუწოდეს ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა. ეს „კომუნისტის“ რედაქციის ინფორმაციის პარტიის ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. კვანტალიანმა და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ტ. ნ. ჩიმოდუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სხვა ოფიციალური პირნი.

ნაუადღეს დელეგაცია ეწვია „ხალხთა მეგობრობის“ კოლმეურნეობას. (საკდესი).

ᲓᲠᲝᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები შეიკრიბნენ მეგობრობის სახლში, რათა ზეიმით აღენიშნათ სსრ კავშირის და ინდოეთის რესპუბლიკის ურთიერთობის ისტორიის დიდმნიშვნელოვანი თარიღი — მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მეათხუთ წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ა. ე. პელშე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხოლოვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ. ვ. გოლოვინი, ბ. ვ. პეტროვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. მ. პეგოვი, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მათთან ერთად იყვნენ ინდოეთის პარლამენტართა დელეგაციის წევრები — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები პარლამენტის ზედა პალატის ვიცეთავმჯდომარის ჯ. მურაპარის მეთაურობით, ინდოეთის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში პ. ლ. სიბელი.

ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ

18 აგვისტოს მოსკოვიდან სიმფეროპოლს გაეგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების კოსმონავტების ფრენა. ამერიკელ კოსმონავტებს ეგზავნებოდა ინდოეთის ეროვნული ინსტიტუტის ინჟინერ-ფიზიკოსი ბ. ბ. ბანერჯი.

ᲐᲛᲐᲕᲔ დღეს დელეგაცია სიმფეროპოლში ჩავიდა.

აეროპორტში ამერიკელ კონგრესმენებს დახვდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ტ. ნ. ჩიმოდუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სხვა ოფიციალური პირნი.

ᲚᲔ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲣᲠᲘ ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებების ორტომიანი კრებულის მეორე წიგნი „თანამედროვე ეტაპზე სკკპ ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“.

მეორე ტომი მოიცავს პერიოდს 1970 წლის აპრილიდან 1975 წლის ივლისამდე. კრებულის მასალებში ღრმად და ყოველმხრივ არის გაშუქებული პარტიის ეკონომიური პოლიტიკის არსი, კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი ეკონომიური ამოცანების მნიშვნელობა და გადაწყვეტის გზები. გაანალიზებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის საფუძველზე მოძმე ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობა, მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან განხილულია მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპებით სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობის საკითხები. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲮᲝᲑᲘ (საკ. კორ.). გამართა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ა. ა. როგავა გამოთავისუფლა პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან უმაღლეს პარტიულ სკოლაში წარიცხვის გამო.

საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ნ. ა. ნადარაია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲔᲒᲘ

ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲒᲐᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ

ᲕᲘᲢᲔᲑᲡᲙᲘ, (საკდესის კორ. ს. შაინკო). ვიტებსკის სკკპ XXII ყრილობის სახელობის სალესი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა ეაზეზე ორი თვით ადრე გაუგზავნა კამის საავტომობილო ქარხანას გადადებული სიზუსტის ახალი დიდმწარმოებლური ჩარხები.

ეს ნახევარავტომატები წინამორბედებზე უფრო ხანგძლივ და მოსახერხებელია, ერთ მუშას საშუალებას აძლევენ ერთდროულად მოემსახუროს რამდენიმე ჩარხს და გადადებული სიჩქარით ემუშაოს.

შემკვეთს თბილისი ვიტებსკის ქარხნის მუშებმა გადასინჯეს კამის საავტომობილო ქარხნისათვის ჩარხების დამზადების ადრე შედგენილი საწარმოო გრაფიკი და იკისრეს ვალდებულება მათი გამოშვების წლიური დაგეგმილება 1 ოქტომბრისათვის შასრულონ.

ᲝᲠᲑᲘᲡ ᲰᲐᲚᲔᲑᲨᲘ

ᲑᲝᲛᲡᲐᲜ. (საკდესის კორ. კ. მაროშნიჩენკო). ობის ჭალას გამოსტაცეს პირველი 500 ჰექტარი ნაყოფიერი ნოყა მიწები. ჭეშმარიტ საიმედოდ იცავს ამ ნაკვეთს წყალდიდობისაგან, ჩოლო სადრენაჟო სისტემა და სატუმბი სადგური აქ უზრუნველყოფენ საჭირო წყლის რეჟიმს. დღეს სკკპ XXII ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა დაიწყეს ნიადაგის მომზადება ახალი მიწებისათვის საშემოდგომო კულტურების დასათესად.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲝᲛᲘᲡᲐᲜ. (საკ. კორ.). ბორჯომის მშრომელთა დიდი საზრუნავი გვალვის წინააღმდეგ ბრძოლაა. მაგრამ არ კმარა მარტო ადგილზე არსებული წყალსაცავი ტუმბოები, ავტოცისტერნები, ვენახის საფამლი აგრეგატები თუ სხვა საშუალებანი. ამიტომ რაიონის მშრომელები დიდად უმაღლიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის მშრომელებს ძმური დახმარებისათვის.

სამტრედიის რაიონმა თელავ გამოუგზავნა 5 ცალი გადასატანი წყალსაცავი ტუმბო თავისი მომსახურე პერსონალით. ტუმბოები მაღალი წარმადობით მუშაობენ სოფელ აკურის კოლმეურნეობის ზვრების რწყვაზე. წყალტუბოდან მიღებული დასაწყვმებელი აგრეგატები კი სოფელ ფშავლის კოლმეურნეობას ეხმარება.

დიდ საქმეს აკეთებენ თბილისის, რუსთავის, გორის, ორჯონიკიძის, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, გარდაბნის, ბოგდანოვკის, ბორჯომის, ქარელის, ცხინვალის, ლენინგორის და სხვა რაიონებიდან დასახმარებლად გამოგზავნილი სახანძრო ავტოცისტერნები. 36 ასეთი ცისტერნა ეხიდება წყალს წინანდლის მეევნახეობის საბჭოთა მეურნეობის ზვრებში, სადაც ყოველდღიურად ათობით ჰექტარზე სიცოცხლეს იღებს მცენარე.

ადგილობრივი საშუალებებითა და სხვა რაიონებიდან ძმური დახმარების წყალობით რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ყოველდღიურად 110-120 ჰექტარზე ირწყვება მრავალწლიანი და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები.

ᲠᲐᲙᲕᲔᲠᲔᲓᲐᲜ — ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲨᲘ

ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც ესტონეთის სსრ რაკვერეს რაიონიდან ცხაკაიაში ჩამოიყვანეს 53 დეკანელი. ცხაკაიელი მშრომელები სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრიან ჩაბმული ესტონელებთან.

მოზარდი პირუტყვი კარგად შეეგუა ადგილობრივ პირობებს და გამრავლება იწყო. ოკვე მიღებულია რამდენიმე სული ნამატი.

პარტიული ცხოვრება

ᲕᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲗ ᲬᲘᲜ

მუდმივად სრულვყოფდეთ მუშაობის სტილსა და მეთოდებს

ახლა, როცა ხუთწლეულის ფინიშს უახლოვდება, არ არის იმაზე უფრო პასუხსაგები და საპატიო ამოცანა, ვიდრე ყველა შესაძლებლობის მობილიზება დამამთავრებელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების ადამდე შესრულებისათვის, სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის. შარშან და წლეულს არ ყოფილა არცერთი თვე, რომ ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს არ გაენაღდებინოთ როგორც გეგმები, ისე ვალდებულებები. ვადამდე ერთი თვით ადრე შესრულდა სახელმწიფოსთვის ბრძოლა და რძის მიყიდვის ვალდებულებები.

ეს წარმატებები ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, მშრომელთა შეგნებულობის ზრდისა და აქტივობის შედეგია.

დღითიდღე უმჯობესდება და სრულყოფილი ხდება პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილი და მეთოდები. რაიკომის მუშაკები ახლა უფრო ხშირად არიან პირველად პარტიულ ორგანიზაციებში, უშუალოდ ეხმარებიან მათ ნაკლოვანებათა გამოვლენებასა და აღმოფხვრაში, ორგანიზატორული, იდეოლოგიური და შინაპარტიული მუშაობის უკეთ დაყენებაში.

პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა და პარტიული აქტივის დასაბამრებლად რაიკომთან მოვიწვიეთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კაბინეტი, სადაც მათ საშუალება აქვთ გეცნონ პოლიტიკურ ლიტერატურას, თვალსაჩინოებას, მიიღონ კონსულტაციები პარტიული მშენებლობის სხვადასხვა საკითხზე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში პარტიული ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილში შინაარსიანი გახდა შინაპარტიული ცხოვრება, ამაღლდა კომუნისტების აქტივობა და პასუხისმგებლობა, გაძლიერდა მათი გავლენა სამეურნეო-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტაში.

ხუთწლეულისათვის ბრძოლის წინა ხაზზე არიან კომუნისტები, რომლებიც ყველა საქმეში, დიდსა თუ მცირეში, ბრალ მაგალითს უჩვენებენ მშრომელთა ფართო მასებს. ეს განსაკუთრებით ითქმის ონის სამკერვალო ფაბრიკის, ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, ჩორდშენისა და სხვა ორგანიზაციების კომუნისტებზე. მნიშვნელოვნად ამაღლდა კომუნისტთა ავანგარდული როლი ღონის, ფარახეთის, გლოლისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

აღსანიშნავია, რომ რაიონის კომუნისტთა 60 პროცენტზე მეტი უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროშია დასაქმებული.

ყურადღებას წინ, დაკვირვებით უცქიროს ხვალინდელ დღეს, იფიქროს ჯკონომიკის განვითარების საკითხებზე — ეს თვისებები, რომლებიც ახლა დამახასიათებელია ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციისათვის. მაგალითად, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციის გადაწყვეტილებებში, რომლებიც მიღებულია გასულ საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, ერთ-ერთ პუნქტად ჩაწერილი იყო საკოლმეურნეობათაშორისო მეღორეობის ფერმის შექმნა. კომუნისტების ამ წინადადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა კოლმეურნეობა შორის და მას რაიკომშიც დაუჭირა მხარი. კომუნისტთა განწესი შესრულდა. ასევე შესრულდა კომუნისტთა წინადადება დაქსაქსული ფუტკრის ოჯახების ერთად თავმოყრის შესახებ. თუ რაოდენ დროული და საჭირო იყო ამ წინადადებათა ხორცშესხმა, ამაზე ციფრები მეტყველებს. ხუთწლეანი გეგმით რაიონს 1900 კილოგრამი თაფლი უნდა დამზადებინა, მაგრამ განვლილ ოთხ წელიწადში მეტად უმნიშვნელო რაოდენობა დამზადდა, მაშინ როცა ფუტკრის ოჯახების ერთ მეურნეობაში თავმოყრამ მარტო წლეულს ჯერჯერობით უკვე 800 კილოგრამი თაფლი მოგვცა.

უკვე ხორცივლდება ზოგიერთი კოლმეურეობის პარტიული ორგანიზაციების წინადადებაც — მათი მეურნეობების ბაზაზე შერეული საბჭოთა მეურნეობის შექმნის შესახებ.

პარტიული კრებები სულ უფრო ხდება კომუნისტთა აღზრდის ნამდვილი სკოლა. და ამას ისიც უწყობს ხელს, რომ ამ კრებებს რაიკომი სისტემატურ კონტროლს უწევს. მტკიცედ დამკვიდრდა ასეთი წესი: რაიკომის წევრებს, წევრობის კანდიდატებს ყოველი თვის ბოლოს ეგზავნებათ ე. წ. შეტყობინება, რომელიც აუწყებს მათ მომდევნო თვეში როდის და რომელ ორგანიზაციაში უნდა მიიღონ მონაწილეობა კრების მომზადება-მოწყობაში. მათვე ევალებათ კრების ჩატარების მეორე დღესვე წერილობით აცნობონ რაიკომს, თუ როგორ მოეწყო კრება, რა კრიტიკული შენიშვნები და წინადადებები გამოთქვეს კომუნისტებმა.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პლენუმების მომზადებისა და მოწყობის პრაქტიკაც. თუ წინათ პლენუმები, ჩვეულებრივად, მხოლოდ პარტიული აპარატის ძალებით მზადდებოდა, ამჟამად მათს მომზადებაში მონაწილეობენ თვით რაიკომის წევრები, აქტივისტთა ფართო წრე. ეს რაიკომს საშუალებას აძლევს გაავლენა მოახდინოს რაიონის ცხოვრების ყველა მხარეზე, უფრო კვალიფიციურად, კომპეტენტურად გადაჭრას ესა თუ ეს საკითხი, პრობლემა. მაგალითად, პარტიის რაიკომის პლენუმი, რომელიც წლეულს აპრილში შედგა და რაიონის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის შემდგომი ამაღლების საკითხს მიეძღვნა, სამ თვეს მზადდებოდა რაიკომის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებები.

ვცდილობთ, რომ შესრულების შემოწმება ეპიზოდური, ფორმალური კი არ იყოს, არამედ — მუდმივი და ქმედითი. ამის მიღწევაში დიდად გვიწყობს ხელს რაიკომში შექმნილი მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების კომისიის წევრთა ფართოდ ჩაბმა რაიკომის პლენუმების, ბიუროს დადგენილებათა რეალიზაციის შემოწმებაში.

რაიონული კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაგალითისამებრ, ახლა წინანდელზე უფრო ხშირად განიხილავს თავის სხდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საკითხებს, მკაცრად სჯის მუშაკებს რაიკომის არათუ დადგენილებების, არამედ ამა თუ იმ მითითებებისა და დავალების შეუსრულებლობის გამოც.

პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევა, როდესაც ზოგიერთ მუშაკს ურიგდება არსებულ ნაკლოვანებებს, ვერ უბრუნველყოფს გეგმების შესრულებას და პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენას ცდილობს. ასე მოიქცა, მაგალითად, სოფელ წედისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კომუნისტი გ. მაისურაძე, რომელმაც რაკომის ბიუროს სხდომაზე ამ საზოგადოებრივი მეურნეობის საკითხის განხილვის დროს მთელი დანაშაული სხვას გადააბრალა.

საკმარისი გახდა უარი გვეთქვა ასეთ ხელმძღვანელზე და საქმეც გამოსწორდა. წედისის კოლმეურნეობა ახლა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები გულისყურით ეკიდებიან რაიონში მცხოვრებთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმას. მათ ბევრი საინტერესო საქმე წამოიწყეს ამისათვის, რომ უფრო დაფსადეს პატრონანი შრომა, მოწონაციებს ყველა პატივს სცემდეს, ერთმანეთთან სწორად იყოს შეხამებული მატერიალური და მორალური სტიმულები. მაგრამ ამ მხრივ კვლავ გვჭირდება ენერგიული მუშაობა, მით უმეტეს, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებისათვის არაეითარ სასარგებლო შრომითს საქმიანობას არ ეწევიან. და ეს მაშინ, როცა საზოგადოებრივი მეურნეობები და სამშენებლო ორგანიზაციები მუშახელის ნაკლებობას განიცდიან.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონული კომისია, ყოველთვიურად აჯამებს შრომითი მეტოქეობის შედეგებს და მას შრომელთა ფართო მასებს აცნობს, რისთვისაც უნარიანად იყენებს პრესას, რადიოს, თვალსაჩინოებას.

დიდი ყურადღება ექცევა მოწინავეთა მორალურ წახალისებასა და პოპულარიზაციას.

კიდევ რამდენიმე თვე და დაიწყება ახალი ხუთწლედი, რომლის გეგმებს დასაბამს მისცემს პარტიის XXV ყრილობა.

ონის რაიონის მშრომელები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს. ისინი მხურვალედ იწონებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის. ეს კი შემოქმედებითი და პოლიტიკური აქტივობის დიდი წყაროა.

ო. დოლიძე,
საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველი მდივანი.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ რა ღონისძიებები ხორციელდება ყინვალის პიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშათა და მოსამსახურეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილების მიხედვით.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ყინვალის პიდროელექტროსადგურის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად, იგი არ შეესაბამება პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს და ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

„საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტისა და ამ ტრესტის ყინვალის პიდროკვანძის სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელობა (ტრესტის მმართველი ი. არობელიძე, სამშენებლო სამმართველოს უფროსი გ. ჭყონია) სათანადოდ არ ზრუნავს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, არ გარდაუქმნია თავისი მუშაობა „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების და შრომის დაცვის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 19 ივნისის დადგენილებისა და პარტიისა და მთავრობის ამ სხვა დადგენილებათა და მრავალგზის მითითებათა შესაბამისად, რომლებიც ეხება საქმის ძირეულ გაუმჯობესებას მუშებისა და მოსამსახურეების, მუშათა დაბების მოსახლეობის მომსახურებაში.

ტრესტი და მისი სამშენებლო სამმართველო საფუძვლიანად არ აანალიზებენ ყინვალის პიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე შექმნილ მდგომარეობას, ჯეროვნად არ ზრუნავენ ამისათვის, რომ მუშებსა და მათს ოჯახებს შეუქმნან ცხოვრების ნორმალური პირობები. ყოველივე ეს, სხვა მიზეზებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს კადრების დიდ დენადობას, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულების ნაშლას.

შეუწყნარებელია ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილებისა და მისი ჰიდროკვანძის მშენებლობასთან არსებული განყოფილების საქმიანობა (ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კ. შუბლაძე, ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობასთან არსებული განყოფილების უფროსი ჯ. ჯაფარიძე) დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობა კონტროლის დარგში. ისინი შეურიგდნენ დარღვევებსა და ნაკლოვანებებს, ვერ უზრუნველყოფენ სათანადო სახელმწიფო წესრიგს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებზე, არ ასრულებენ საქონელბრუნვის ზრდის, პროგრესული ფორმების დანერგვის, ახალი სავაჭრო საყოფაცხოვრებო ობიექტების ამოქმედების დავალებებს, რითაც დიდ ზიანს აყენებენ რესპუბლიკისათვის ამ დამხმარეველოვანი ობიექტების დროულად საექსპლოატაციოდ გადაცემის საქმეს.

მუშათა მომარაგების განყოფილება სისტემატურად ვერ ასრულებს საცალო საქონელბრუნვის, საზოგადოებრივი კვების და საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოშვების გეგმებს. მოწყობილი არ არის დიეტური კვება, არ სრულდება ნახევარფაბრიკატების რეალიზაციის დავალება, ხოლო კულინარიული და საკონდიტრო ნაწარმი იყიდება შეზღუდული რაოდენობით. ზოგიერთ საწარმოსა და სამშენებლო მოედანზე არ არის ცხელი კერძებით კვება. უფრო მეტიც, მთელ რიგ საწარმოებში, სამშენებლო უბნებსა და მოედნებზე (სათაო კვანძის სამშაო უბნები, შახტი № 3 და სხვ.) სულ არ არის სავაჭრო ობიექტები, რის შედეგადაც მუშები და მოსამსახურეები იძულებული არიან ასარგებლონ სამუშაო ადგილიდან 1-3 კილომეტრით დაშორებულ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებით.

ჯერ კიდევ გადაუჭრელია უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის მქონე მიწისზედა და მიწისქვეშა საწარმოებში დასაქმებულ იმ მუშა-მოსამსახურეთა კვება და ცხელი კერძებით უზრუნველყოფა, რომლებიც ღამის ცვლაში მუშაობენ. მორეულ მშენებლებზე მუშებისათვის არ არის მოძრავი ბუფეტები, ავტოდუქნები და სხვ.

იმის გამო, რომ სერიოზული ნაკლოვანებანია დაგეგმვაში, სათანადოდ არ აანალიზებენ და არ სწავლობენ ჰიდროშენებელთა მოთხოვნებს, შეფერხებებია პირველი საჭიროების საქონლით ვაჭრობაში, ამასთანავე ირღვევა კერძების ასორტიმენტის მინიმუმი, ყოველთვის როდი იშოვება ტაბაკი, ფაქტიურად ბევრ ადგილას ფასებიანი ბუფეტი, ასევე ფასებიანი ბაზრები, ბუფეტები, ბაზრები ... ვაჭრობის ... კონტროლის კომიტეტმა არადამაკმაყოფილებლად ნაო თვალა „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მუშაობა ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების დარგში.

ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარებლობისათვის, მომსახურების სფეროს ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების დარღვევისათვის „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მმართველს ი. არობელიძეს გამოეცხადა საყვედური, ხოლო ყინვალის ჰიდროკვანძის სამშენებლო სამმართველოს უფროსს გ. ჭყონიას — სასტიკი საყვედური. ამასთანავე დაეტკიცება ყინვალაჰესის მუშათა დაბის მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა და ი. არობელიძეს და გ. ჭყონიას დაევალა:

— განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შემოწმების დროს გამოვლენებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების აღმოსაფხვრელად. უზრუნველყონ დასახული ღონისძიებათა აუცილებლად შესრულება; გააქტიურონ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების საქონლინობა, მიიღწიონ მომსახურების კულტურის ამაღლებას, კერძების ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებას.

ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა მომსახურებაზე სათანადო ხელმძღვანელობის გაუწევლობისა და დამეგებული სერიოზული ნაკლოვანებებისათვის „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი კ. შუბლაძე გადაყენებულია თანამდებობიდან, ყინვალის ჰიდროკვანძის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსს გ. ჯაფარიძეს კი გამოეცხადა სასტიკი საყვედური. ამასთანავე აღინიშნა, რომ გ. ჯაფარიძეს უფრო მკაცრი სასჯელის ღირსია, მაგრამ მხედველობაში მიღებულია ის, რომ ამ თანამდებობაზე იგი მუშაობს მიმდინარე წლის მარტიდან.

კონტროლის კომიტეტმა დადგინა საქართველოს სსრ ვაჭრობის, ხორცისა და რძის, ყვების მრეწველობის სამინისტროებს საჭირო დახმარება გაუწიონ ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილებას, სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამოყოფილი ფონდების დროულად ათვისებაში.

საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს დაევალა ერთი თვის ვადაში „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტთან ერთად განიხილოს ყინვალის ჰიდროკვანძის მშენებლობის მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები მისი რაც შეიძლება მოკლე ვადაში განხორციელებისათვის.

კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა რესპუბლიკის ამ დიდმნიშვნელოვან მშენებლობაზე შეიქმნას სახალხო კონტროლის ჯგუფების საბჭო, რომელსაც დაეკვედრებენა ყინვალაჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ყველა დარგობრივი ჯგუფი.

კონტროლის დუშეთის რაიონულ კომიტეტს დაევალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ჰიდროშენებლობისა და მათი ოჯახის წევრების სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობას, უფრო მკაცრი კონტროლი გაუწიოს სავაჭრო საწარმოებისა და საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაობას, მოსთხოვოს რაიონულ სანეპიდსადგურს დასახოს და განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი ობიექტების სანიტარული მდგომარეობის გაუჯობესებისათვის, ოპერატიულად უხელმძღვანელოს სახალხო კონტროლის ჯგუფების საბჭოს მუშაობას.

კომიტეტმა ცნობად მიიღო, რომ მასალები სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისისა და საქონლის გაფუჭების შესახებ, რაც შემოწმების დროს გამოვლინდა, გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა რწმენა გამოთქვა, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ჰიდროკვანძის მშენებლობის ხელმძღვანელობა და პარტიულ-სამეურნეო აქტივი რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ყოველდღიური მხარდაჭერით განახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის და ჰიდროშენებლების სახელით თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრაში.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამხ. **ონნა სიმონის-ძე ჩოჩია**, — პერსონალური პენსიონერი, — პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის; დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით

ამხ. **ხოლომონ ვასილის-ძე ჯიოევი**, — სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ბეჟდვითის სიტყვაში საბჭოთა სალიდუმლოების დაცვის სამმართველოს უფროსი, — პარტიულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ამხ. **რევაზ ვლადიმერის-ძე კახიანი**, — წყალტუბოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, — მრეწველობაში და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ...

დიდხა თუ პატარის სურს სასახელო შედეგებით დამთავროს ხუთწლედი, ღირსეულად შეხვდეს პარტიის XXV ყრილობას. შეჯიბრების წინა ხაზზე არიან კომუნისტები და კომკავშირელები.

საქართველოს ალკკ სოფლის რაიკომმა და რაიონულმა გაზეთმა „კოლმეურნემ“ ამ დღეებს მიუძღვნა ახალგაზრდული გვერდი-პლაკატი „ცისკარი“ (გამოშვება პირველი). გვერდი იხსნება ვ. ი. ლენინის ციტატით: „სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა“.

მოწინავე წერილის ავტორია საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ცაბუტაშვილი. სკკპ XXV ყრილობას — ღირსეული შეხვედრა! — ასეთია წერილის დევიზი.

რაიონის ახალგაზრდობის საბრძოლო ამოცანაა: აწარმოონ და სახელმწიფოს მიაყიდონ 400 ტონა ხორცი, 2,000 ტონა რძე, 350 ტონა ბოსტნეული, 2.500 ტონა ყურძენი, დაამზადონ 12.400 ტონა ეხეში და წვნიანი საკვები. აქვეა იმ ახალგაზრდობის პორტრეტები, რომლებიც ქმნიან ამ დოვლათს — კომკავშირელი მწველები ჯ. ნანდრეშვილი და გ. ბერიკელაშვილი. ისინი მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ.

ვაჭირის კოლმეურნეობის კომკავშირული კომიტეტის მდივანი ზ. მერაბიშვილი სახელოვან მექანიზატორებზე წერს: კომკავშირელმა კომპაინერმა თამაზ კორინთლიშვილმა წელს 280 ჰექტარზე აიღო პურეულის მოსავალი და 584 ტონა მარცვალი გალეწა. ბეჟიკო იასეშვილმა კი 331 ჰექტარზე მომკა ყანა და საკოლმეურნეო ბეღელში 600 ტონაზე მეტი მარცვალი გაგზავნა. მან შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა.

გვერდ-პლაკატიდან ვეცნობით, რომ რაიონის ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, წარმოებას მიაშურა. წარმოებაში არიან ჯუგაანელი ახალგაზრდები. ზ. ოზბეთელაშვილის ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა, ბრიგადის წევრები ეარინე და მერაბ ბოლაშვილები, მანანა და ნათელა კიკალეშვილები, ნინო და პაატა კველიშვილები, გია ჭაბაშვილი, მზია აბულაშვილი, გორა ქურხულაშვილი მზრუნველობით დასტრიალებენ ვაზს — ხან მიწას უფხვიერებენ, ხან კი მაცოცხლებელ წყალს აწვდიან.

„ჩვენი რიგების დათვალიერება“ — ასე უწოდებს წერილის ავტორი, ბოდბისხევის კოლმეურნეობის კომკავშირული კომიტეტის მდივანი თ. ოზბეთელაშვილი იმ დიდ მოვლენას კომკავშირულ ცხოვრებაში, როგორიც არის კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა.

ძველი ანაგის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მოგვითხრობს ახალგაზრდა დეპუტატთა საქმიანობის შესახებ. ახალგაზრდა პოეტი ნ. ოქრუაშვილი კი გვთავაზობს ლექსს „ახალგაზრდული“.

საქართველოს ალკკ სიღნაღის რაიკომისა და რაიონულ გაზეთ „კოლმეურნის“ ახალგაზრდული გამოშვება კარგი საქმის დასაწყისია...

ვლ. მჰედლიშვილი.
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲓᲐᲮᲘᲚᲓᲝᲛᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1975 წლის 12 აგვისტოს ბრძანებულებებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ამხ. **ონნა სიმონის-ძე ჩოჩია**, — პერსონალური პენსიონერი, — პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის; დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით

ამხ. **ხოლომონ ვასილის-ძე ჯიოევი**, — სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ბეჟდვითის სიტყვაში საბჭოთა სალიდუმლოების დაცვის სამმართველოს უფროსი, — პარტიულ, პროფკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით.

ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲐᲡᲬᲐᲚᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

პირველ სექტემბერს თბილისის 101-ე საშუალო სკოლაში აწყრიალდება პირველი ზარი. მერხებს მოუსდება 1040 მოსწავლემათს განკარგულებაშია 30 კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი, სხვადასხვა კაბინეტი, სპორტული დარბაზი, კლუბი, სახალხო-ახალ სკოლაში, რომელიც საბურთალოზე, პავლოვის ქუჩის ბოლოს მდებარეობს, ნაყოფიერი სწავლას ყველა პირობაა შექმნილი.

* * *



ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐᲜ ᲐᲡᲬᲐᲚᲚ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: თბილისის 101-ე ახალი საშუალო სკოლის შენობა; მიმდინარეობს უკანასკნელი მზადება მოსწავლეთა მიღებისათვის.

ᲤᲝᲢᲝ ᲔᲒᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲠ.
(საქინფორმის ფოტოჭრონიკა).

ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ რაიონის სოფელ მერკულში მეფრინველეობის ფაბრიკა საკუთარი სახსრებით აშენებს 320 მოსწავლისთვის გათვალისწინებული სკოლის ახალ შენობას. მშენებლობას აწარმოებს ონჩამჩირის № 41 მოძრავი-მექანიზებული კოლონა (უფროსი ქ. ნორაკიძე).

ახლა უკანასკნელი სამუშაოები მიმდინარეობს. შეძენილია 40 ათასი მანეთის სასკოლო ინვენტარი. ბიბლიოთეკა შეივსო ახალი წიგნებით.

მ. ᲯᲝᲯᲣᲐ.

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ

1975 — ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲚᲘᲡ

დუშეთი. (საქინფორმის კორ.). საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომმა და საზოგადოება „ცოდნის“ რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყვეს რესპუბლიკის მოწინავე ქალთა შეხვედრები რაიონის ახალგაზრდობასთან, მშრომელ ქალებთან.

დუშეთში ჩამოვიდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები. მათ შორის იყვნენ საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტი. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ნანა ანთაძე, მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე, პოეტები ანა ალანდაძე და ნელი გაბრიჩიძე, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე თამარ ბოთუა, პიანისტი მედეა გონგლიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი ოლიტა მესხიშვილი, ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი ბაბულია შელია, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ელენე სურგულაძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ეკატერინა ჭელიძე, ჟურნალისტი დალი წულაძე. მათთან ერთად ჩამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები—პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე შოთა დოლონაძე, ინსტრუქტორი თემურ ქავთარაძე.

სტუმარ-მასპინძლებმა შეიმუშავეს შეხვედრების საინტერესო პროგრამა, გაეცნენ რაიონის ახალგაზრდობის, მშრომელი ქალების შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობებს. მოიწყო გულთბილი, გულახდილი საუბრები, რომელთა დროს გამოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება.

სტუმრები ეწვივნენ არაგვისპირის საბჭოთა მეურნეობას, სადაც შეხვდნენ მეურნეობის მშრომელებს. აგრეთვე დუშეთის რაიონული საავადმყოფოს ქალთა სამედიცინო პერსონალს. რაიონის პედაგოგებს, ბიბლიოთეკების მუშაკებს. დიდი ინტერესით ჩაიარა სტუმრების შეხვედრამ ხალიჩის საქსოვი საამქროს, ხაკონსერვო ქარხნის კოლექტივებთან.

საღამოს დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო შეხვედრა—კონცერტი. სტუმრები გამოვიდნენ მხატვრული თვითმოქმედების პროგრამით, წაიკითხეს ლექსები, ილაპარაკეს თავიანთ მუშაობაზე და იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც რაიონის მშრომელებთან, საზოგადოებრივობის წარმომადგენლებთან შეხვედრების შედეგად დარჩათ.

შეხვედრა-კონცერტში მონაწილეობდნენ ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მომღერლები და მოცეკვავეები.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ვრცელი კომუნიკე

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით 12-14 აგვისტოს პოლონეთში მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი შეხვდა და ესაუბრა ა. ნ. კოსიგინს. შეხვედრამ და საუბარმა გულითად, ამხანაგურ, ძმური ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინი აგრეთვე ესაუბრა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პ. იაროშევიჩს.

ა. ნ. კოსიგინს გადაეცა პოლონეთის დიდი ორდენი „დამსახურების ორდენი“, რომლითაც ივი ალენდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ.

პოლონეთში ყოფნის დროს ა. ნ. კოსიგინი ეწვია ქალაქ მეცეის საავიაციო ქარხანას, გაეცნო მის მუშაობას, სასოფლო-სამეურნეო ავიაციისათვის თვითმფრინავების წარმოების დარგში მუშაობა კავშირის საწარმოებთან კოოპერაციის თანამშრომლობის პროგრამის შესრულებას.

საქმიანი, მეგობრული საუბრების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ძმური კავშირისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის ყველასმხრივი განვითარების საკითხებს ამ პრინციპული შეთანხმების შესახებ, რომელიც მიღწეული იყო წლეულს ივნისში ეკ ცენტრალური კომიტეტის ენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის შეხვედრის შედეგად. საუბრის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუაზეს ორი ქვეყანაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის შედეგები და გაუზიარეს ერთმანეთს ამ საქმეში მიღებული გამოცდილება. ეს ინფორმაცია ეხმარება ორივე ქვეყნის ხალხებს, ეხმარება ორივე ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობის შედეგები და გაუზიარეს ამ მიმართულებით. ეს ინფორმაცია ეხმარება ორივე ქვეყნის ხალხებს, ეხმარება ორივე ქვეყნის კომუნისტურ მშენებლობის შედეგები და გაუზიარეს ამ მიმართულებით.

ხაზი გაუსვეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელსაც საბჭოთა კავშირი და პოლონეთი ანაკუთვნებენ სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასა და სრულყოფას როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფეძველზე ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოში.

ორივე მხარემ დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ წარმატებით დამთავრდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი, რომელიც მოწვეული იყო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ინიციატივით და ევროპის სხვა ქვეყნების, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების და კანადის მხარდაჭერით. აღინიშნა, რომ თათბირის შედეგები ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროპის საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საყოველთაო განხორციელებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, ურთიერთნდობის, თვითეული ქვეყნის თავისუფალი, დამოუკიდებელი, მშვიდობიანი განვითარების მტკიცე რწმენის ატმოსფეროს შექმნისათვის.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი წლეული ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში, ისევე როგორც მთლიანად დაძაბულობის შენელების საქმეში, შეიტანა საკმაო ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ილაპარაკა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და იმ მუშაობაზე, რომელიც ხორციელდება მომდევნო ხუთწლედის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებების მომზადებისათვის.

სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად მეცხრე ხუთწლედის მანძილზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული საბჭოთა ეკონომიკის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის აღმავლობაში. „საზოგადოებრივი წარმოების მზარდმა მასშტაბებმა უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი განმტკიცება, საჭირო წინაპირობები შეიქმნა სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებას.

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა აღნიშნეს, რომ ორივე ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში მოპოვებული წარმატებები უპირატესად მიღწეულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ფართო და მრავალმხრივი ეკონომიური თანამშრომლობის, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გაღრმავებაში მათი აქტიური მონაწილეობის მეოხებით, რაც ხორციელდება ეკონომიური თანამშრომლობის პრინციპულ საკითხებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტების გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

გამოთქვეს კმაყოფილება 1971-1975 წლების ეკონომიური თანამშრომლობის შედეგების გამო. ამ პერიოდისათვის გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმებით განსაზღვრული საქონელბრუნვის მოცულობა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. დადებითი ცვლილებები მოხდა საქონელბრუნვის სტრუქტურაშიც. მომდინარე ხუთწლედში, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შედეგები ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს მოასწავებს პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებაში.

მოლაპარაკების დროს განიხილეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 1976-1980 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციისათვის გაწეული დიდი მუშაობის შედეგები, რომლებიც ისახა სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგეგმო ორგანოების ხელმძღვანელების — ნ. კ. ბაიბაკოვისა და მ. იაგელსკის ახლანდელი შეხვედრის წინ ხელმოწერილი ერთობლივ ოქმში.

გეგმების კოორდინაციის შედეგად სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1976-1980 წლების საქონელბრუნვა შესადარი ფასებით 1,5-ჯერ და მეტად გადააჭარბებს მიმდინარე ხუთწლედის საქონელბრუნვის მოცულობას. ამ დროს ერთიორად გადიდდება მანქანებისა და მოწყობილობის ურთიერთმიწოდება როგორც ეკონომიური თანამშრომლობის ყველაზე დინამიკური შემადგენელი ნაწილი.

თანამშრომლობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კოოპერაციისა და სპეციალიზაციის გაფართოება მანქანათმშენებლობაში თანამედროვე დიდმწარმოებლურ მანქანებსა და მოწყობილობებზე და, კერძოდ, სამშენებლოსაგზაო და სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე, ქიმიურ მოწყობილობაზე, ჩარხებზე, ელექტრონულ-გამოსათვლელ ტექნიკაზე, მსუბუქ და სატვირთო ავტომობილებსა და სხვა სახეობის პროდუქციაზე ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას დიდი სიმძლავრის ატომური ელექტროსადგურებისათვის მოწყობილობის წარმოებაში კოოპერირების შესახებ შეთანხმებას. სამრეწველო ობიექტების მშენებლობისა და კომპლექსური მოწყობილობის მიწოდებისათვის საბჭოთა კავშირის მიერ ტექნიკური ხელშეწყობის ბაზაზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კიდევ უფრო და განვითარდება მეტალურგია, ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა.

თავის მხრივ, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკიდან მინერალური სასუქების წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის, თევზსაჭერი და სხვა გემების, საგზაო მანქანების, ლითონსაჭრელი ჩარხების, გამოსათვლელი ტექნიკის პროდუქციის, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგების მოწყობილობის მიწოდება ხელს შეუწყობს მომავალ ხუთწლეულში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას.

მხარეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, გეოდეზიი ვაჭრობა, ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა, წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერაცია სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, როგორც უკვე მიღწეულ შეთანხმებათა ფარგლებში, ისე ახალ შეთანხმებათა მომზადების მხრივ კიდევ უფრო გავიფართოოთო. კერძოდ, ისინი იმსჯელებენ მხარეთა შეხვედრების დროს განხილულ წინადადებებზე, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის დიდმნიშვნელოვან დარგებში. ორივე მხარე დიდ ყურადღებას დაუთმობს პერსპექტიული გეგმების კოორდინაციის საკითხებს, აგრეთვე ეკონომიური პოლიტიკის ზოგადი კონცეფციისა და მიმართულებების შემუშავებას.

საუბრების დროს აღინიშნა, რომ გეგმების კოორდინაციისას დიდი ყურადღება დაეთმო იმ უმნიშვნელოვანეს სასაკობათა საობობისა და ნედლეულის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ამ პროდუქტებით ორივე ქვეყნის მოთხოვნილებები, რაც, კერძოდ, აისახა სსრ კავშირში ნავთობისა და გაზის მრეწველობის დამატებით სიმძლავრეთა შექმნის, რკინის შემცველი ნედლეულისა და ფერომეტალურ-ბეების, აზბესტისა და ცელულოზის წარმოების თითბაზე თანამშრომლობის შეთანხმებათა დადებით.

ორივე ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ამოცანებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია გაფართოვდეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობა მაღალხარისხოვანი სამრეწველო და სახალხო მოხმარების სასურსათო საქონლის წარმოებისა და ურთიერთმიწოდების დარგში.

დადებითად აფასებენ რა 1976-1980 წლების გეგმების კოორდინაციის შედეგებს, მთავრობათა მეთაურებმა გამოთქვეს რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის თანამიმდგარული დახალოება დამატებით ხელშეწყობ წინაპირობებს უქმნის სოციალური და ეკონომიური ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც დასახავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი XXV ყრილობა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VII ყრილობა.

გამართული საუბრების დროს კვლავ დადასტურდა, რომ ფაქტელი და თანამიმდევრულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კურსი, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ძმური მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და ორივე ქვეყნის მჭიდრო თანამშრომლობას მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე. (საკდესი).

ამერიკელ ჟურნალისტთა ინტერვიუ

მხოლოდ ცოდნა იმარჯვებს

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. უკვე გავლილია პირველი დღეები, ცნობილია პირველი შედეგები. გამოცდების მიმდინარეობის შესახებ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბიორგი ჯიბლაძე. აი რა თქვა მან:

— უმაღლესმა სკოლებმა, სამინისტროსთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობითა და დახმარებით დიდი მუშაობა გასწიეს წლეულს მისაღები გამოცდების მაღალ დონეზე, უნაკლოდ წარმართვისათვის. მთელი დოკუმენტაცია ერთი თვით ადრე მომზადდა, ვიდრე შარშან. მისაღები გამოცდების პერსონალთან ორმაგად გაძლიერდა კონსულტაციები. უმაღლესი სკოლის მიერ მოწყობილმა კოლოქვიუმებმა, ღია კარის დღეებმა, აგრეთვე ბევრმა სხვა ღონისძიებამ ნამდვილად კარგი შედეგი გამოიღო. ახლა ყველა გრძნობს, თუ პირადად განაწყენებული არ არის, რომ წლეულს მისაღები გამოცდები მაღალ დონეზე, ობიექტურად, ყოველმხრივ კარგად ტარდება, — გაცილებით უკეთესად, ვიდრე რომელიმე წინა წელს. რესპუბლიკაში მორალური ატმოსფეროს რადიკალურად შეცვლამ თავისი დიდი, ცხოველმყოფელი, დადებითი გავლენა მოახდინა უმაღლესი სკოლის ახალი კონტინგენტის დაკომპლექტებაზეც.

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები დღის განყოფილებაზე 9.800 კაცს მიიღებენ, ე. ი. 180-ით მეტს, ვიდრე შარშან მიიღეს. ადგილთა ამ რაოდენობაზე მისაღებ გამოცდებს 40.137 აბიტურიენტი აბარებს (საშუალოდ ერთ ადგილზე 4), რაც 4.757 კაცით აღემატება შარშანდელს. უკანასკნელი მონაცემებით, გამოცდებზე დაშვებულ აბიტურიენტთა ნახევარზე მეტმა (51 პროცენტი) ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი შეფასება.

ზოგიერთ უმაღლეს სკოლაში ვაკანტური ადგილისა და აბიტურიენტთა რაოდენობის შეფარდებამ, ნაცვლად რესპუბლიკური 1—5-ისა, შეადგინა: 1—10 (ეუთაისის პედინსტიტუტი), 1—9 (თბილისის პუშკინის, გორის ბარათაშვილის სახ. ინსტიტუტები), 1—8 (უცხო ენების, ბათუმის, თელავის ინსტიტუტები). ბევრ სპეციალობაზე კონკურსმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის ერთ ადგილზე გამოცდებს 35 აბიტურიენტი, ხოლო ისტორია-პედაგოგიკაზე — 22 კაცი. ასეთ პირობებში ძალიან რთულია კონკურსის ჩატარება და გასაგებია, რომ საგამოცდო კომისიებს პირდაპირ ქანცგამწყვეტი ზრუნვა უხდებათ ვეშმარიტების დასადგენად, თუ ვინ არის ერთი, ყველაზე უკეთესი 35-22-იდან. ეს ის დროს, როცა ზოგიერთ სპეციალობაზე კონკურსი თითქმის არა გვაქვს. მაგალითად, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თუ ჰიდრომელიორაციისა და საინჟინრო გეოლოგიის, ავტომობილისა და საავტომობილო მეურნეობის, საავტომობილო გზების, სპეციალობებზე შეფარდება 1—8, 1—6 შეადგენს, სამაგიეროდ, მეტალურგიულ ფაკულტეტზე ადგილები აუთვისებელი რჩება, რადგან კონკურსი არ იყო: 16 ადგილზე დადებითი ნიშნით მხოლოდ ხუთი კაცი (შავი ლითონების მეტალურგია), 18-ზე — რვა (შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება), 25-ზე — თხუთმეტი (ელექტრული მანქანები).

როგორია თვით გამოცდების პროცესი?

უეჭველად კარგი შედეგი გამოიღო თანამედროვე ტექნიკის გამოყენებამ. უნივერსიტეტსა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მშობლები ტელევიზორის საშუალებით თვითონვე უსმენდნენ, თავიანთი შვილები როგორ აბარებდნენ ზეპირ გამოცდებს. რეალური ეფექტი აშკარა იყო. ბევრი მშობელი თვითონვე დარწმუნდა თავისი შვილის ცოდნასა და ნიშნის ობიექტურობაში. ბევრგან, როგორც მაგალითად, პოლიტექნიკურ, სამედიცინო, სოხუმის ინსტიტუტებში, წერითი გამოცდების მსვლელობას ტელევიზორში უყურებდნენ მართო მიმღები კომისიების წევრები კი არა, არამედ, მშობლებიც და აბიტურიენტების ნათესავებიც. თითქმის ყველა უმაღლეს სკოლაში ზეპირ გამოცდებს მთელი ჯგუფიც აბიტურიენტები ისმენდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი ნიშნები ობიექტურად იყო დაწერილი.

საგულისხმოა, რომ რადიოს გამოყენების პარალელურად მისაღები გამოცდების დროს გარკვეულ დახმარებას გვიწევს გამომთვლელი მანქანები. ფსიქოლოგიური ბარიერი, რომელიც არსებობდა აბიტურიენტსა და მანქანას შორის, ახლა უკვე გამქრალია.

კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მისაღები გამოცდები ჩვეულებრივი არ არის, პრინციპულად განსხვავდება გადასაყვანი ან გამოსაშვები გამოცდებისაგან. კონკურსის მიზანია საუკეთესოთა შორის საუკეთესო შეარჩიოს, ხოლო დანარჩენს უარი უთხრას. ამ დიდი ამოცანის შესრულებისათვის გულდასმით არიან შერჩეულნი საუკეთესო პედაგოგები, გამოცდილი მასწავლებლები, რომლებიც თაჭდადები მუშაობენ, მაქსიმალური ობიექტურობით აფასებენ აბიტურიენტს ცოდნას. ნუთუ ერთი აბიტურიენტის ცოდნის შეფასება არ უნდა ვანდოთ 2-3 სპეციალისტს, მიმღებ ან საპრეტენზიო კომისიებს? მაშინ რა გავაკეთოთ? კონტროლი წლეულს გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე იყო. რეპეტიტორები, ოდნავ შელახული სახელის მქონე გამომცდელები, წლეულს არსად შეუყენებიათ საგამოცდო კომისიებში. შარგალაკების წინააღმდეგ ბრძოლამ სასურველი შედეგები მოგვცა — მინიმუმამდე შემცირდა და ეს მინიმუმიც ლიკვიდირებულ იქნა.

ჩვენ კარგად გვესმის წარუმატებელ აბიტურიენტთა მშობლების გულისტკივილი, მაგრამ ყველაფერს თავისი ნორმა და სახელი აქვს. არ შეიძლება აბიტურიენტი სტუდენტი გახდეს მშობლის დაჟინებით, ოდნავ დანაშაულებრივი მოქმედებით, საგამოცდო, მომღებ, საპრეტენზიო კომისიებთან დაუსრულებელი კამათით, უხეშობით, მუქარით, ძალმომრეობით. აბიტურიენტს ვერავინ დაეხმარება — თვითონ და მხოლოდ თვითონ არის თავისი თავის დამხმარე, მხოლოდ ნამდვილ ცოდნას შეუძლია გააღოს მისთვის უმაღლესი სკოლის კარები. დანაშაულს სჩადიან ის მშობლები, რომლებსაც ამ ელემენტარული, აბსოლუტურად ჭეშმარიტი აზრის გაგება არ სურთ და ივიწყებენ, რომ თავიანთი მოქმედებით ცუდ მაგალითს აძლევენ შვილს, რომელიც ხვალ სპეციალისტად მოგვეგლინება, საზოგადოებაში ადგილს დაიკავებს, მაგრამ, თუ კეთილშობილი, პატიოსანი, სუფთა არ იქნა, თვით საზოგადოება გარიყავს. თოლად მოპოვებული იოლადვე იკარგება, ხოლო დანაშაული სასჯელს ვერ ასცდება. ასეთი შშობლების რაცხვი დიდი არ არის, მაგრამ საგრძნობია, რადგან კონკურსი ძალიან დიდია — საშუალოდ ერთ ადგილზე რესპუბლიკაში ხუთი აბიტურიენტი მოდის.

ჩვენ მადლობას მოვახსენებთ იმ მშობლებს (ასი რიცხვი აბსოლუტური უმრავლესობაა!), რომლებიც შეგნებულად, მშვიდად, რწმენით უყურებენ თავიანთი შვილების გამოცდებს. ქუთაისის პედინსტიტუტში ათეულობით მშობელმა, რომელთა შვილებმა არადამკმაყოფილებელი ნიშანი მიიღეს, წერილობით განაცხადეს, სთქვეს ორიგინალი გვაქვს, გამოცდები ობიექტურად ჩატარდა, ჩვენი შვილები გაისისათვის უკეთესად მოემზადებიან, თუ უმაღლესი განათლების მიღება სურთო.

წლეულს დიდი დახმარება გაგვიწიეს თბილისის, ქუთაისის, თელავის, ოფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, გორის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რამაც ბევრად შეუწყო ხელი მისაღები გამოცდების როგორც მომზადებას, ისე ჩატარებას.

გამოცდები ერიელდება. ორაციათაი ეკვი არ არის, რომ თავიდან ბოლომდე მაღალ დონეზე ჩატარდება.

დასასრულ გვინდა რჩევა მივცეთ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც წლეულს ვერ გახდნენ სტუდენტები, — დაუყოვნებლივ მიაშურონ შრომის ფრონტს, პარალელურად აიმაღლონ მომზადების დონე და გაისად კვლავ შეუდგნენ მისაღები გამოცდების ჩაბარებას. ეუსურვებთ მათ წარმატებას შრომასა და გამოცდებისათვის მომზადებაში!

ინდოელი პარლამენტარები თბილისში

13 აგვისტოს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის პარლამენტარების — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების აქტივისტების დელეგაცია პარლამენტის ზედა პალატის ვიცე-თავმჯდომარის გ. მურაჰარის მეთაურობით. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში იმყოფება საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის ინ ერთთვიურად დაკავშირების, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირისა და ინდოეთის რესპუბლიკის შშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების მეოთხე წლისთავსა და ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან ინდოეთის ქვედა პალატის დეპუტატი, სახელმწიფო სექტორის საქმეთა საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, ყოველკვირეულ „სოციალისტ ბპარატის“ რედაქტორი ნ. შარმა, ქვედა პალატის დეპუტატები კ. ლაკაპა, ნ. ლასკარი, ზედა პალატის დეპუტატი მ. სულთანი, ქვედა პალატის დეპუტატი, ინდოეთის კომპარტიის თამილნადის შტატის ორგანიზაციის სამდივნოს წევრი ხ. მურუგანანთამი.

მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს მოგზაურობაში ახლავს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის წევრი ვ. ვ. ლიუბომუდროვა.

ინდოელ პარლამენტარებს აეროდრომზე გულთბილად შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. დ. ქინჭლაძე, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ა. ნ. ყიფიანი, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ე. ნ. გუგუშვილი, ამ კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი თ. შ. წერეთელი.

ინდოელი პარლამენტარები — ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული საზოგადოების აქტივისტები ჩამოსულნი დღეს შეხვდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის წევრი ვ. ვ. ლიუბომუდროვა.

ამერიკელ ჟურნალისტთა ინტერვიუ

ბელფასტი ლაპარაკობს

ბონი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში კლებულობს შობადობა. სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, 1974 წელს დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მატებამ შობადობის ხარჯზე შეადგინა 626 ათასი, რაც 9 ათასით, ანუ 1,5 პროცენტით, ნაკლებია წინა წელთან შედარებით.

პარიზი. წინასწარი მონაცემებით, სასაქონლო მარცვლეულის წლევანდელი მოსავლის რაოდენობა საფრანგეთში 20 პროცენტით შემცირდება შარშანდელთან შედარებით. არახელსაყრელი ამინდის პირობების გამო მიწათმოქმედნი მოიწევენ 2 მილიონი ტონით ნაკლებ ხორბალს, მაგრამ — დიდძალ ქერს, შვრიას.

სან-ხოსე. სან-სალვადორში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია იმის გამო, რომ სალვადორის პოლიციამ სასტიკად გაუსწორდა დედაქალაქის სტუდენტებს. დემონსტრაციაში მონაწილეობდა დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, როგორც აქ ცნობილი გახდა, სალვადორის უნივერსიტეტის სტუდენტთა საყოველთაო ასოციაციის წარმომადგენლებმა იცნეს პოლიციის მიერ დახოცილი 12 კაცი. ყველა ისინი ეყვნენ მშრომელთა დემოკრატიული უფლებებისა და ცხოვრების დონის ამაღლებისათვის ბრძოლის აქტივისტები.

ვაშინგტონი. ახალგაზრდა ზანგები და სხვა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ხულ უფრო ხშირად ხდებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში მზარდი დანაშავეობის მსხვერპლნი. ასეთია ამ მოხსენების ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც მოამზადა ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიურომ იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით. „შავკანიანებს, — ნათქვამია მოხსენებაში, — გაცილებით მეტი შანსი აქვთ იმისა, რომ გახდნენ თავდასხმის, ძარცვის, გაუპატიურების მსხვერპლნი“.

ლა-პასი. ჩილეში ხულ უფრო მატულობს ინფლაცია, შეუნელებლად იზრდება ფასები, უმუშევართა არმია, რომელიც ამეამად თვითმოქმედი მოსახლეობის 14 პროცენტს შეადგენს. მარტო გუშინ ქუჩაში გაყარეს 8.500 „ზედმეტი“ რკინიგზელი. ახლა კი, წერს ბოლივიის გაზეთი „პრესენსია“, დათხოვნის საფრთხე შეექმნა ჩილეს ეროვნული სამთამადნო კომპანიის 16 ათას მეშახტეს. როგორც ხუნტამ გამოაცხადა, მათ „იძულებით შეებულებებს“ მისცემენ.

ტოკიო. წუხელ იაპონიის არქიპელაგის ოთხიდან ერთ-ერთი ძირითადი კუნძულის — ჰონსიუს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში მოხდა ძლიერი მიწისძვრა. ტოკიოში აღირიცხა ხამბალიანი ბიგი იაპონიაში მიღებული შვიდბალიანი სკალით. მიწისძვრის გამო ექვსი წუთით გაჩერდა ტოკიოს მეტროპოლიტენის მოძრაობა.

ოკეანეში ჩაეფლო



ლიდი სიცხე, რომელიც ამ ზაფხულს იდგა შვეიცარიაში, გახდა ამის მიზეზი, რომ ხტოკჰოლმის გარეუბნის დასახლებების ხპონგისა და ხუნდბიუბერგის დამაკავშირებელი რკინიგზის ხაზის რელსები ასე დაიგრიხა. მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ იხსნა კატასტროფისაგან სამგზავრო მატარებელი, რომელიც ხაათში 110 კილომეტრის სიხშირეთი მიჰქროდა.

ფოტო ამოღებულია გაზეთ „ლანდს ნიუჰეტერიდან“, სტოკჰოლმი.

ბელოჯლიო ლეგ

მშვიდობის საფუძველი

სრულიად ევროპის თათბირის წარმატებით დამთავრება წინამძღვრებს უქმნის ევროპის ხალხებს ერთ-ერთ ... ურთიერთობის უფრო აქტიურ განვითარებას მშვიდობისა და პროგრესის ინტერესებისათვის. ეს განაცხადეს მთელი რიგი ქვეყნების თვალსაჩინო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი:

ჰელსინკში 35 ქვეყნის ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილი საბოლოო აქტი ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ იმ შეთანხმებული პრინციპების ხანგრძლივი მეცადინეობის შედეგი, რომელთა შესაბამისად ევროპაში შეიძლება უზრუნველყოფილ და განმტკიცებულ იქნეს მშვიდობა და განვითარდეს ფართო ეკონომიური და კულტურული გაცვლა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მშვიდობის განსამტკიცებლად.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მანფრედ გერლაჩი:

ჰელსინკში ხელმოწერილი საბოლოო აქტი მშვიდობის ჭეშმარიტი ... ... დოკუმენტს უდიდესი მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც წანამძღვრებს უქმნის ევროპის მრავალმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას, კონტინენტზე მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებას. ამ თანამშრომლობის მთავარი მიზანია გამაერთიანებელი შეიარაღების შეწყვეტა, პოლიტიკური დაძაბულობის შენელება შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი პიერ გრაბერი:

**ჰელსინკის თათბირი ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა ურთიერთობის ... ...

მშენებლები შერმაზანას წყაროსთან

დუშეთი. (საკ. კორ.). ოთხასი მშენებელი მოვიდა გასულ კვირას დაბურულ ტყეში, შერმაზანას წყაროსთან. ესენი ოყვნენ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, სტუმრები, რომლებიც მშენებლის სადღესასწაულო დღეს ტრადიციულად ბუნების წიაღში ატარებენ.

სასოფლო მშენებლობის მინისტრმა ი. ხარატიშვილმა და „საკოლმშენის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ თ. „ანდელაკმა გულითადად მიულოცეს მშენებლებს დღესასწაული და უსურვეს მათ ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „კოლხეთი", აგრეთვე სპორტული თამაშობები. დაჯილდოს მოწინავე მშენებლები.

დედაქალაქში დაბრუნებისას, სტუმრებმა დაასუფთავეს შერმაზანას წყაროს მიდამოები, რომელიც ბევრჯერ უმასპინძლებს საბულოვან ქართველ მშენებლებს.

ა. თომაძე.

□

მ თ ი ა ნ სოფლებში

მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გასაუმჯობესებლად ქიათურის პოლიკლინიკაში შედგინეს განრიგი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქიდან დიდი მანძილითი მოშორებული სოფლების მეხოვრებთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფას.

სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით შექმნილი ბრიგადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ექიმები მ. მეცხოვრიშვილი, ნ. ჭიღლაძე, ჯ. მახათაძე, ლ. ამალიდი, ვ. კრასნოპეროვა, ცქიმშაძე და სხვები, გავიდა მაღალმთიან სოფლებში — გეზრულში, ხვაშითში, რცხილათში, თვალეთში და სხვაგან. მედიცინის მუშაკებმა ამ სოფლებში სამედიცინო მომსახურება გაუწიეს 300-ზე მეტ მეხოვრებს.

ნ. კუპატაძე.

□

დიდი ამოგება

სოფელ რუფოთის მცხოვრებმა ა. ბ. მემანიშვილმა სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის 122780 სერიის № 49 ობლიგაციით 71-ე ტირაჟში მოიგო 2500 მანეთი.

რ. ზარნაძე,
თერჯოლის ცენტრალური შენახვითი სალაროს გამგე.

ჯანმრთელობის საართულები



ეპიდემიოლოგთა დასვენებისათვის

საქართველოს შაბქმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები საქართველოს მაღაროელებისა და სხვა რესპუბლიკების მშრომელებისათვის ამუშავებენ სანატორიუმების, პროფილაქტორიუმებისა და დასასვენებელი სახლების პროექტებს. ქართველ ხუროთმოძღვართა პროექტებით ტყვარჩელში შენდება სანატორიუმის ტიპის პროფილაქტორიუმი 200 კაცისათვის. ამ მაღაროელებს დასვენების ყველა პირობას შეუქმნიან, ხოლო ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ უარაღანდაში ქალაქგარეთ დაპროექტებულ პროფილაქტორიუმში მალე შეძლებენ დასვენებას უანზავეთის მეშახტეები. აპროექტებენ კახლოვოდსკში 400-ადგილიან სანატორიულ კომპლექსს „ბელორუსიას", აფხაზეთის სოფელ ახალ კინდღაში 320 კაცისათვის ბავშვალისწინებულ დასასვენებელ სახლსა და სხვ. ობიექტებს. ხუროთმოძღვრული ნაგებობა: ზემოთ — მაღაროელებისათვის სანატორიუმი პროფილაქტორიუმის ერთ-ერთი პროექტზე მუშაობენ (მარცხნიდან) ჯგუფის ხელმძღვანელი ლია ახაკა, სამოქალაქო მშენებლობის განყოფილების უფროსი ია-მაზ გუნაა და განყოფილების მთავარი კონსტრუქტორი ოგორ ლარიონოვი; ქვემოთ — ასეთი იქნება აფხაზეთის სოფელ ახალი კინდღის 320-ადგილიანი დასასვენებელი სახლი.

ბ. ბუბუსაძის და შ. ბრუნსაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



მცაცბელთა ბედი

სასამართლოს დარგაზიდან

დამხარისხებელ-სამრეცხაო საამქროს უფროსი, შემდეგ დამხარისხებელი უბნის უფროსი დარჯან ნასყიდაშვილი, დამხარისხებელი უბნის ოსტატი ოსიეთ ნადიბაიძე, ბრიგადიერი ვალერიან ბურდული, „ცენტროსოიუზისა" და „ცეკავშირის" წარმომადგენლები, მატყლის დამამზადებლები — სულ 36 პირი.

ეს ჯგუფი დანაშაულებრივად იყო დაკავშირებული საქართველოს სსრ შსს თბილისის პირველი მაისის რაიონს არასაუწყვეტო დაცვის მუშაკებთან, რომელთა მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო უსაქონლო ოპერაციების ჩატარება. ჯგუფის წევრები სარგებლობდნენ აგრეთვე ამავე კომბინატის მთავარი ინჟინრის გ. კოპლატაძის დაუდეკრეტობითა და მთავარი ინჟინრის მოადგილის ვ. ჭანიშვილის დახმარებითა და მხარდაჭერით.

ბორტმოქმედნი დაუკავშირდნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონის მატყლის დამამზადებლებს, რომლებთანაც ერთად აფორმებდნენ კომბინატში მატყლის მიღების ფიქტიურ დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები ტარდებოდა საყარაულო წიგნში და საბოლოოდ დგებოდა მიღება-ჩაბარების ყალბი აქტები. დამამზადებლები თავიანთ მხრივ აფორმებდნენ მატყლის შესყიდვის ფიქტიურ დოკუმენტებს, რომლებსაც წერდნენ მოგონილ, არარსებულ პირებზე, რაიდამზადების კანტორის სალაროებიდან გამოაქონდათ ფული და ურთიერთშორის ინაწილებდნენ. გარდა ამისა, მატყლის მიღების დროს დოკუმენტებში ზრდიდნენ მატყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რითაც იზრდებოდა მატყლის ღირებულება. თანხები გამოჰქონდათ **სალაროდან და თავიანთ** ბინებზე.

„საბჭოთა საქართველოში" მოკალათებულ დამტაცებელთა ჯგუფსა და დამამზადებლებს შორის დაწესებული იყო: დატაცებული თანხის 70 პროცენტი ეკუთვნოდა კომბინატში მოქმედ ჯგუფს, ხოლო 30 პროცენტი **რჩებოდათ** დამამზადებლებს.

უსაქონლო ოპერაციების ნეტარებისა და მატყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდის შედეგად, თბილისის მაუდ-კამოსილის კომბინატში, ბუნებრივია, წარმოებამდა დანაკლისი, რასაც დამტაცებელთა ჯგუფის წევრები ფარავდნენ შემდეგნაირად: ისინი წონასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებში აკლებდნენ იმ დამამზადებლებს, ვისთანაც დანაშაულებრივი გარიგებანი არ ჰქონდათ, და ამ გზით აღწევდნენ ზედმეტობას. დატაცების შედეგად წარმომქმნელ **ასეთ პირებს**, რომლებსაც არ უმუშავნიათ და არც შეეძლოთ ემუშავათ ამ წარმოებაში. მისი შინაგსოსამსახურე საფარავად კი ხელფასს კომბინატიდან იღებდა. წარმოებაში ადგილი ჰქონდა უსტანდარტო პროდუქციის გამოშვებას. ბაბუნაშვილი გრძნობდა, რომ შესაძლო იყო ამ დანაშაულთა გამომეღავნება და ყოველნაირად ცდილობდა კავშირი დაემყარებინა თანამეზობლის და გაელინინ პირებთან, რომლებსაც ქრთამის სახით ფულსა და ძვირფას ნივთებს აძლევდა.

მ. ბაბუნაშვილმა ქრთამის სახით 2,500 მანეთი გადასცა პარტიის პირველი მაისის რაიონის განყოფილების გამგეს, შემდგომში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორს ვ. ბართაიას.

და როცა ბაბუნაშვილს შეეკითხნენ:

— ხომ არ დაუნიშნეთ ფულადი გასამრჯელო ბართაიას, როგორც თქვენს მეგობარსა და სკოლის ამხანაგს?

— არა, მას ეს თანხა დაენიშნა როგორც რაიკომის განყოფილების გამგესო.

მ. ბაბუნაშვილთან ახლო ურთიერთობაში იყო კომბინატის თანამშრომელი ბ. კეკელია, რომელიც უსაქონლო ოპერაციებში აქტიურად მონაწილეობდა. ზოგიერთი გაელინანი ადამიანის წყალობით ერთმა სულმა ბ. კეკელიამ ვაჭრობის მუშაკთა სახლში ბარნოვის ქუჩაზე ოთხოთახიანი კომფორტაბელური ბინაც კი მიიღო.

საამაყოა, მაგრამ ფაქტია, რომ იმ წლებში, ამგვარი გარიგებებით, შეთანხმებებით, ურთიერთმარდაჭერით, ეს ადამიანები დაწინაურების, მომხვეჭელობის გზაზე, ნებისმიერი საქმის მოგვარებას, დაბრკოლების გადალახვას ახერხებდნენ.

ყველას ახსოვს: მათს წარმატებებს ტაშს უკრავდნენ, თავს ბრიდნენ მათი გაელინის, ყოველისშემძლეობის, თვითდაჯერების წინაშე. ამტომაც აღარვის უკვირდა, როცა ამბობდნენ — ბაბუნაშვილი მინისტრის ხობა-ახალუხს იზომავსო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ შ. მახარაძის თავმჯდომარეობით იმსჯელა სახელმწიფო ქონების მიმთვისებელთა დანაშაულზე და მოუსაჯა თავისუფლების აღკვეთა: მ. ბაბუნაშვილს — 15 წლით ქონების კონფისკაციით, ხ. კობიაშვილს — 12 წლით, გ. ერაძეს, მ. ყალიჩავს, ო. მაისურაძეს, პ. უძილაურს, გ. ქისტაურს, მ. ალანიას, ვ. ბურდულს, ი. ნადიბაიძეს, ჯ. გოგიძეს, ნ. ციხისთავს, ა. გურგენიძეს და თ. ინანაძეს — 10-10 წლით, ქონების კონფისკაციით.

სასჯელის სხვადასხვა ზომა შეეფარდათ დანარჩენ დამნაშავეებს.

განაჩენი საბოლოოა და საკასაციო წესით გასაჩივრებას ან გასაჩივრებულ მსჯავრდებულთა მდგომარეობის გაუარესებას არ ექვემდებარება.

ზ. ქაჯაია.

ფიგნის თარო

ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი

ვახტანგ მეექვსისგან მოიყოლებული დღემდე ვეფხისტყაოსანსა და მის გენიალურ ავტორს მრავალი ცალკეული სტატია, გამოკვლევა და წიგნი მიეძღვნა. მაგრამ ყოველი ახალი შრომა, რომლის მიზანია პოემის ზედმიწევნით განხილვა და მისი ავტორის ვინაობის გამოკვლევა, ჩვენი მკითხველი ხალხიერებრიობისა და მეცნიერების ცხოველი ინტერესის საგანი ხდება. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ პროკოფი რატიანის წიგნი „ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი", რომელიც გამოსცა „მერანმა" (1975 წ. რედაქტორი ე. მაღრაძე, 436 გვ.).

პროკოფი რატიანის ამ წიგნში შედის თავის დროზე ჟურნალ „მნათობისა" და „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებული (შემდეგ ცალკე წიგნად დაბეჭდილი) გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის", აგრეთვე ზოგიერთი სხვა დამატებაც. როგორც წიგნის რედაქტორი თავის წინათქმაში აღნიშნავს, მეცნიერი მკვლევარის მიერ წიგნში წამოყენებული მოსაზრებები, მიგნებები, ვარაუდები და დასკვნები რუსთაველოლოგთა და მკითხველი ხალხიერებრიობისათვის საინტერესო და გულისხმასაყოფი იქნება. —

□

გამოფენები, ლექციები

ონი. (საკ. კორ.). ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით რაიონში ბევრი საინტერესო ღონისძიება ეწყობა. ბიბლიოთეკებმა მოაწყეს გამოფენა თემაზე „ქალის საერთაშორისო წელი". საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში გაიმართა ლექციები, მოეწყო შეხვედრები მოწინავე კოლმეურნე ქალებთან, ადგილობრივმა რადიოგადაცემათა რედაქციამ შემოიღო რუბრიკა: „ჩვენი ახალგაზრდა ქალი".

□

ახალი კინოთეატრი

ბორჯომი. (საქინფორმის კორ.). კურორტ-ქალაქის კულტურის ჯერებს შეემატა კიდევ ერთი დაწესებულება — გაიხსნა ფართო ეკრანის კინოთეატრი „რუსთაველი" 200 მაყურებლისთვის.

პირველი სეანსის დაწყებამდე საზოგადოებრიობას ახალი თეატრის გახსნა მიულოცეს ბორჯომის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ლ. ბასილაიამ, რაიონის კინოფიკაციის დირექტორმა ვ. ორჯონიკიძემ, საქართველოს ალკ ბორჯომის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. ბზიკვაძემ, მსახიობმა დ. ამაშიძემ.

ახალ კინოთეატრ „რუსთაველში" დიდი წარმატებით ჩაიარა ქართული მხატვრული ფილმის „ეროვნული ოქროს" ჩვენებამ.

... ?

ტრანსპორტი ხვალ

რით ვიმგზავრებთ?

**ინჟინერ-ტექნიკოსი ბ. ბ. ბ. ... ...